

პასუხები

1-ელი კითხვა

წყარო. სახელმძღვანელოს მე-6, მე-7, მე-9 და მე-15 თავები.

ექსპერტის რჩევები. თქვენი ზოგადი მიდგომა უნდა იყოს მოთხოვნის გულდასმით წაკითხვა, შემდეგ კი კითხვის წაკითხვა და იმ პრობლემების (აუდიტორული რისკები) ჩამოწერა, რომელიც კითხვისას შეგხვდებათ.

(ა) ნაწილში მოითხოვებოდა აუდიტორული რისკები, როგორც მოსალოდნელი იყო. მნიშვნელოვანია, რომ გაითვალისწინოთ გაფრთხილება და არ განიხილოთ სავალუტო ოპერაციების რისკები, რადგან ამისთვის ქულები გამოყოფილი არ არის. კარგი ქულების მისაღებად აქ ძირითადია იმის უზრუნველყოფა, რომ თქვენი პასუხი სწორი მოცულობისაა - საკმარისი იმისათვის, რომ ჩააბაროთ კითხვის ეს ნაწილი, მაგრამ არ დაწეროთ იმდენი, რომ უფრო მეტი დრო გამოიყენოთ, ვიდრე ამ კითხვაზე გაქვთ განაწილებული. თქვენ თითოეული საკითხი გულდასმით უნდა ჩამოაყალიბოთ და სცადოთ საკითხების ერთმანეთთან დაკავშირება, როდესაც ეს შესაძლებელია.

(ბ) ნაწილი ეხებოდა პროცედურებს სეგმენტური ინფორმაციისთვის. ამ სფეროში ცოდნის გამოცდა ხშირად არ ხდება, ამიტომ აქ მისი ჩართვა გაფრთხილების როლს ასრულებს, რომ არ გადაიმეოროთ მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც თქვენი აზრით, საგამოცდო საკითხები იქნება;

(გ) ნაწილი დაკავშირებული იყო არააუდიტის გარიგებაზე დათანხმებასთან. თქვენთვის შეიძლება ეს განსაკუთრებით რთული იყო; თუ ეს ასეა, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გააკეთოთ კითხვის ამ ნაწილის ჩაბარების მცდელობაზე. ამისათვის თქვენ ამ ნაწილში მხოლოდ ხუთი ქულის მიღება გჭირდებათ.

ადვილად მოსაპოვებელი ქულები. წარდგენასთან დაკავშირებული ქულები ღირებულია და ნამდვილად ღირს მათ მისაღებად დროის დახარჯვა.

შეფასების სქემა

ქულები

ა) აუდიტორული რისკის შეფასება

3 ქულამდე თითოეული აუდიტორული რისკისთვის (თუ სხვაგვარად მითითებული არ არის). ქულები შეიძლება მოგენიჭოთ სხვა შესაფერისი აუდიტორული რისკებისთვის, რომელიც შეფასების ამ სქემაში მოცემული არ არის.

ასევე, 1/2 ქულა შესაფერისი ტენდენციების ან გამოთვლებისთვის, რომლებიც აუდიტორული რისკის შეფასების ნაწილია (მაქს. 3 ქულა).

არსებითობის სათანადოდ გამოთვლისა და არსებითობის დონის დასაბუთებისთვის მაქსიმუმ 2 ქულა მოგენიჭებათ.

- აუდიტის ახალი დამკვეთი (2 ქულა)
- ამონაგების აღიარება
- განახლებისა და საექსპლუატაციო დანახარჯები
- კომპონენტის ცვეტა
- შეტევა საინფორმაციო უსაფრთხოებაზე (კონტროლის რისკი, სუსტი კორპორაციული მართვა, მონაცემების მთლიანობის დარღვევა, გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე – მაქს. 5 ქულა)
- დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციის გამჟღავნება

- ოპერირების ლიცენზია
- ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები
- ამონაგებისა და მოგების ტენდენციები
- გემბანზე გაყიდვები

მაქს. 25

ბ) აუდიტის პროცედურები სეგმენტური ანგარიშებისთვის

1 ქულამდე თითოეული შესაფერისი აუდიტის პროცედურისთვის. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, ქულები მოგენიჭებათ სხვა შესაფერისი საკითხებისთვის.

- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის გაგზავნილი ფინანსური ანგარიშების მიმოხილვა, რათა დადასტურდეს სეგმენტური ინფორმაციის საფუძველი, რომლის ანგარიშებაც ხდება კომპანიის მიერ
- ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირის დასადასტურებლად
- ხელმძღვანელობასთან იმ საშუალებების განხილვა, რომელთა მეშვეობით სეგმენტურ ინფორმაციას განიხილავს საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი
- საბჭოს ოქმების მიმოხილვა იმის სანახავად, რომ სეგმენტური ინფორმაცია რეგულარულ მიმოხილვას ექვემდებარება
- ხელმძღვანელობასთან განხილვა, გემბანზე გაყიდვების ანგარიშება ცალკე უნდა განხორციელდეს თუ არა
- ამონაგების დანაწევრების მოპოვება, რათა დადასტურდეს, რომ ამონაგები სათანადოდაა განაწილებული საანგარიშგებო სეგმენტებს შორის
- ანალიზური პროცედურების შესრულება, რათა განისაზღვროს თითოეული სეგმენტის ტენდენციები და უზვეულო ტენდენციების ხელმძღვანელობასთან განხილვა
- მოწოდებული დანაწევრებული ინფორმაციიდან მთლიანი ამონაგების ხელახლა გამოთვლა, რათა დადასტურდეს, რომ ისინი საანგარიშგებო სეგმენტებს წარმოადგენენ

მაქს. 8

გ) დამატებითი მომსახურება - კონსულტაციის გაწევა სოციალურ და გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებით

1 ქულამდე თითოეული შესაფერისი, ახსნილი საპასუხო საკითხისთვის:

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღება გამოვლენილი და სრულად ახსნილია
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღება აკრძალულია
- თვითშეფასების საფრთხე გამოვლენილი და სრულად ახსნილია
- თვითშეფასების საფრთხე გაიზრდება, თუ სოციალური / გარემოსდაცვითი ინფორმაცია წლიურ ანგარიშში აისახება
- ანგარების საფრთხე გამოვლენილი და სრულად ახსნილია
- ზეწოლა სამუშაოს სწრაფად შესრულებაზე
- სათანადო დამცავი ზომები რეკომენდებულია (1 ქულა თითოეულისთვის, მაქს. 3 ქულა)
- ჯგუფის აუდიტის კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს არააუდიტის სამუშაო

- შეიძლება ეს აკრძალული იყოს ჯგუფის იურისდიქციაში
- სამუშაოს მოცულობა და სპეციფიკური მოთხოვნები მარეგულირებლისგან
- რწმუნების დონე, რომელიც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი და ვინ უზრუნველყოფს აღნიშნულს
- უნარები და კომპეტენცია სამუშაოს შესასრულებლად

მაქს. 12

პროფესიული ქულები

კომუნიკაცია

- მოკლე ჩანაწერების ფორმატი და სტრუქტურა - სათაურების/ქვესათაურების გამოყენება და შესავალი.
- სტილი, ენა და გარკვევით ახსნა - საინფორმაციო დანიშნულების მოკლე ჩანაწერების/შენიშვნების სათანადო ფორმატი და ტონი, არსებითობისა და შესაფერისი გამოთვლების წარმოდგენა, ადვილად გასაგები და აღქმადი ტექსტი.
- ინფორმირების ეფექტიანობა და საკითხების გარკვევით გადმოცემა - პასუხი შესაფერისია და სცენარს მიესადაგება.
- აუდიტის გარიგების პარტნიორის მიერ კონკრეტული მოთხოვნების შესრულება.

ანალიზი და შეფასება

- ინფორმაციის სათანადოდ გამოყენება შესაფერისი გამოთვლების განსაზღვრისთვის.
- ინფორმაციის სათანადოდ გამოყენება მსჯელობის განსამტკიცებლად და სათანადო დასკვნების გამოსატანად.
- ყველანაირი შესაფერისი ინფორმაციის სრულად ასიმილაცია, რათა დადასტურდეს, რომ რისკის შეფასებაში გათვალისწინებულია წინააღმდეგობრივი ან უჩვეულო ცვლილებების გავლენა.
- რისკების შეფასების შედეგების პრიორიტეტულობის მიხედვით დაყოფა სათანადოდ, რისკების სიდიდისა და ალბათობის დემონსტრირებისა და სათანადო საპასუხო პროცედურების განსაზღვრის ხელშეწყობის მიზნით.
- ინფორმაციის დაბალანსებული განხილვა ობიექტური რეკომენდაციის განსაზღვრისთვის ან გადაწყვეტილების მისაღებად.

პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა

- მოწოდებული ინფორმაციისა და ძირითადი ფაქტების ან/და გადაწყვეტილებების გასამყარებლად გამოყენებული მეთოდების ექვექვემ დაყენება.
- არსებითობის შესაფერისი დონის განსაზღვრა და დასაბუთება, მისი სათანადოდ და თანმიმდევრულად გამოყენება.
- პროფესიული განსჯის სათანადოდ გამოყენება დასკვნების გამოსატანად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად გარიგების კონტექსტისა და ეტაპის შესაფერისი პოტენციური მოქმედებების შესახებ.

კომერციული ალღო

- აუდიტის პროცედურები პრაქტიკული და განხორციელებადია კომპანია „კრუქსი გრუპის“ კონტექსტში.
- ეფექტური მაგალითების ან/და გამოთვლების გამოყენება სცენარიდან, რეკომენდაციების საილუსტრაციოდ.

- აუდიტორული ფირმის შესაფერისი კომერციული მოსაზრებების შეცნობა.

მაქს. 5

50

სულ

მოკლე ჩანაწერები

ვის: აუდიტის გარიგების პარტნიორს

ვისგან: აუდიტის მენეჯერისგან

საკითხი: კომპანია „კრუქსი გრუპი“ – აუდიტის დაგეგმვა

შესავალი

წინამდებარე მოკლე ჩანაწერები მომზადებულია კომპანია „კრუქსი გრუპის“ (შემდეგში ჯგუფი) 20X5 წლის 30 სექტემბერს დასრულებული ფინანსური წლის აუდიტის დაგეგმვაში დასახმარებლად. ჩანაწერები მოიცავს ჯგუფის აუდიტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი აუდიტორული რისკების შეფასებას, რომლებიც სტრუქტურირებულია ისე, რომ პრიორიტეტი აქვთ მინიჭებული რისკებს უზუსტობის ალბათობისა და მასშტაბის გათვალისწინებით თითოეულ რისკთან მიმართებით. ჩანაწერებში რეკომენდებულია ასევე აუდიტის პროცედურები ჯგუფის ამონაგების სეგმენტების მიხედვით გამჟღავნებისთვის. დაბოლოს, მოცემულია იმ საკითხების განხილვა, რომლებიც „პეგასუსმა“ უნდა გაითვალისწინოს შემოთავაზებულ დამატებით გარიგებასთან - ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციის გაწევა ჯგუფის სოციალურ და გარემოსდაცვით ინფორმაციის შესახებ - დაკავშირებით.

(ა) აუდიტორული რისკის შეფასება

არსებითობა

წინამდებარე მოკლე ჩანაწერების მიზნებისთვის შემდეგი საერთო არსებითობის დონე იქნება გამოყენებული გამოვლენილი რისკების მნიშვნელობის შესაფასებლად და მოთხოვნის შესაბამისად ის ჯგუფის მომგებიანობაზეა დაფუძნებული.

შერჩეული კრიტერიუმები

შემოთავაზებული კრიტერიუმის სახით დაბეგვრამდე მოგების ან საოპერაციო მოგების გამოყენების შედეგად, დეტალური გამოთვლისთვის იხილეთ ცხრილი, მივიღებთ შემოთავაზებულ დიაპაზონს \$4.05 მილიონიდან \$14.5 მილიონამდე.

ეს შერჩეული კრიტერიუმი მხოლოდ საწყისი წერტილია არსებითობის გამოსათვლელად, საჭიროა პროფესიული განსჯის გამოყენება საბოლოო დონის განსაზღვრისთვის, რომელიც აუდიტის მსვლელობისას იქნება გამოყენებული. რადგან ეს ახალი დამკვეთია და შესაბამისად, პირველი აუდიტის გარიგებაა, გაზრდილი შეუმჩნეველობის რისკის გამო არსებითობა ამ დიაპაზონის ქვედა დონით უნდა განისაზღვროს \$4 მილიონით.

აუდიტის ახალი დამკვეთი

ეს ჯგუფი ახალი დამკვეთია, ჩვენი ფირმა აუდიტორად ექვსი თვის წინ დაინიშნა. ეს შეუმჩნეველობის რისკს წარმოქმნის, რადგან ჩვენს ფირმას დამკვეთთან მუშაობის გამოცდილება არა აქვს, რაც ართულებს ჩვენ მიერ არსებითი უზუსტობის გამოვლენას. თუმცა, შესაძლებელია ამ რისკის შემცირება აუდიტის სწორი დაგეგმვით, მათ შორის ჯგუფის საქმიანობის დეტალური შესწავლით.

ამასთან, არსებობს რისკი, რომ საწყისი ნაშთები და შესადარისი ინფორმაცია შეიძლება არასწორია. რადგან გასული წლის ციფრები „პეგასუსის“ მიერ არ ყოფილა აუდიტირებული, თუ საწყის ნაშთებთან დაკავშირებით უზუსტობა არსებობდა, მაშინ ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენს უნარზე, შევადგინოთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები საბოლოო ნაშთებთან მიმართებით. ამგვარად, საწყისი ნაშთების აუდიტი წინდახედულად უნდა დაგვეგმოთ, ასს 510-ის - პირველი

აუდიტის გარიგება -საწყისი ნაშთები - შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ არც საწყისი ნაშთები და არც შესადარის ინფორმაცია არ შეიცავდეს არსებით უზუსტობას.

ამონაგების აღიარება

აუდიტორული რისკი წარმოიქმნება ამონაგების აღიარების დროსთან დაკავშირებით. ასს 240-ში - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით - მოცემული მოთხოვნის გათვალისწინებით, როდესაც აუდიტორი აუდიტორულ რისკებს აფასებს, აუდიტორმა უნდა ივარაუდოს, რომ თაღლითობის რისკები არსებობს ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით და შეიძლება ეს სფერო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდეს. მიზანშეწონილია, რომ მომხმარებლის დეპოზიტები გადავადებული ამონაგების სახით აღიარდება მათი მიღებისას. ეს ფასს 15-თან - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - შესაბამისობაშია, რომლითაც მოითხოვება ამონაგების აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია და შესაბამისად, ჯგუფისთვის მომხმარებლის მიერ კრუიზის დაწყებამდე გადახდილი თანხა ამონაგები არ არის და საჭიროა მისი გადავადება. თუმცა, ბილეთების გაყიდვებიდან მთლიანი ამონაგების კრუიზის დაწყებისას აღიარების პოლიტიკა შეიძლება ფასს 15-თან შესაბამისობაში იყოს, რადგან ჯგუფი თავის ვალდებულებას დროთა განმავლობაში ასრულებს, რასაც შეიძლება ექვესკვირიანი პერიოდის კი დასჭირდეს ზოგიერთი კრუიზის შემთხვევაში. ეს დროში გამიჯვნის პრობლემაა, რაც ნიშნავს, რომ კრუიზის დაწყებისას მთლიანი ამონაგების აღიარებამ შეიძლება ამონაგების ზედმეტად შეფასება და ვალდებულებების ნაკლებად შეფასება გამოიწვიოს.

გაუმჯობესებისა და საექსპლუატაციო დანახარჯები

ჯგუფი დიდი ოდენობის დანახარჯებს ეწევა თავისი გემების ფლოტის გაუმჯობესებისა და მოვლა-შენახვისთვის. „სანსიკერ კრუიზის“ გემებზე \$75 მილიონი დაიხარჯა ამ წელს. არსებითობის საწყისი გამოთვლის საფუძველზე ეს თანხა არსებითაა ფინანსური ანგარიშგებისთვის და დაბეგვრამდე მოგების 92.6%-ს შეადგენს, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია. არსებობს აუდიტორული რისკი, რომ დანახარჯები სათანადოდ არ არის დაყოფილი კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებად. საჭიროა გაუმჯობესების დანახარჯების, მათ შორის ახალ ობიექტებთან, როგორცაა მაგალითად სპორტული დარბაზი, დაკავშირებული დანახარჯები, კაპიტალიზება, მაგრამ საექსპლუატაციო დანახარჯები ხარჯებში უნდა აისახოს. არსებობს რისკი, რომ აქტივები ზედმეტადაა შეფასებული, ხოლო ხარჯები ნაკლებადაა შეფასებული, თუ საოპერაციო ხარჯები არასთანადოდ კაპიტალიზდა. დამატებითი რისკი დაკავშირებულია ცვეთის ხარჯებთან, რომელიც ზედმეტად იქნება შეფასებული, თუ კაპიტალური დანახარჯები ზედმეტადაა შეფასებული.

კომპონენტის ცვეთა

ბასს 16-ით - ძირითადი საშუალებები - მოითხოვება, რომ ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ერთეულის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ცვეთა ცალ-ცალკე უნდა დაერიცხოს. არსებობს რისკი, რომ გემები, რომლებიც გამოიყენება, შემადგენელ ნაწილებად დანაწევრებულნი არ არიან თითოეული ნაწილის ინდივიდუალური ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების განსაზღვრის მიზნით. მაგალითად, თუ სპორტული დარბაზის აღჭურვილობას ცვეთა სამი წლის მანძილზე უნდა დაერიცხოს და შესაბამისად, სხვა აქტივებისგან, როგორცაა მაგალითად, გემის ექსტერიერი, ძრავა და სხვა, ცალკე განხილვას საჭიროებს. არსებობს რისკი, რომ ცვეთა არასწორად განისაზღვრება კომპონენტის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ აქტივები და დაკავშირებული ცვეთის ხარჯი შეიძლება ზედმეტად ან ნაკლებად არის შეფასებული. ეს რისკი იზრდება დაგროვილი ცვეთის ციფრის უჩვეულო ცვლილების გამო, რომელიც წელს მხოლოდ \$49 მილიონით გაიზარდა. ჯგუფის ცვეთის დარიცხვის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის, თუმცა, ფინანსური წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების მთლიან ღირებულებასთან, \$2,304 მილიონი, მიმართებით ის მხოლოდ 2.1%-ს შეადგენს, რაც ძალიან დაბალი ჩანს და მიუთითებს, რომ ის ნაკლებადაა შეფასებული.

შეტევა საინფორმაციო უსაფრთხოებაზე

ბოლოდროინდელი შეტევა საინფორმაციო უსაფრთხოებაზე სავარაუდოდ წარმოაჩენს, რომ ჯგუფში შიდა კონტროლი არასრულყოფილია. მართალია, ეს კონკრეტული პრობლემა ახლა უკვე გადაჭრილია,

მაგრამ ჯგუფის შიდა აუდიტის გუნდმა სათანადოდ არ გამოავლინა და სათანადო რეაგირება არ მოახდინა საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევის რისკზე, ამიტომ, შეიძლება სხვა სფეროებზე არსებობდეს, მათ შორის კონტროლი ფინანსურ ანგარიშგებაზე, სადაც შიდა კონტროლი არასრულყოფილია, რაც კონტროლის რისკს წარმოქმნის. აღნიშნული სიტუაცია შეიძლება ასევე მიუთითებდეს ჯგუფის კორპორაციული მართვის უფრო დიდ ნაკლოვანებაზე, მაგალითად, აუდიტის კომიტეტს სათანადოდ არ შეუსრულებია თავისი მოვალეობები შიდა აუდიტთან მიმართებით.

მეთოდური მითითება. საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით აუდიტის კომიტეტმა უნდა მიმოიხილოს და დაამტკიცოს შიდა აუდიტის წლიური გეგმა და უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამუშაოს ეფექტურობის მონიტორინგი და მიმოხილვა. აუდიტის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტის გეგმის შეთანაწყობა ბიზნესის ძირითად რისკებთან. ქულები მოგენიჭებათ საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევის კონტექსტში ამ საკითხების განხილვისთვის.

ამასთან, საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევამ შეიძლება გაყიდვის სისტემაში მონაცემების მთლიანობის დარღვევა ან მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს, თუ მომხმარებელთა შესახებ ინფორმაცია სააღრიცხვო სისტემასთან იყო ინტეგრირებული. არსებობს აუდიტორული რისკი, რომ ანგარიშგებულ ამონაგების ციფრი არასწორი, არასრული ან არასრულფასოვანია. მართალია, ეს პრობლემა მხოლოდ გაყიდვების სისტემასთან არის დაკავშირებული, მაგრამ შეიძლება გავლენა სხვა ციფრებზეც გავრცელდეს.

დაბოლოს, საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევის ინციდენტი სავარაუდოდ ჯგუფისთვის გარკვეული ჯარიმებისა და საურავების დაკისრებას გამოიწვევს, რადგან, როგორც ჩანს, რისკზე სათანადო რეაგირება არ განხორციელდა და მომხმარებელთა ინფორმაცია შეტევისგან არ იყო დაცული. ბასს 37-ის - *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* - მიხედვით შეიძლება საჭირო იქნეს ჯგუფის მიერ ანარიცხის აღიარება ან პირობითი ვალდებულების განმარტებით შენიშვნებში ასახვა, რაც დამოკიდებულია ფულადი სახსრების გადახდის ალბათობაზე და მსგავსი გადახდების არსებობაზე. დაკავშირებული აუდიტორული რისკია ნაკლებად შეფასებული ვალდებულებები ან ნაკლებად შეფასებული ხარჯები ან არასრული გამჟღავნება, თუ საჭირო ვალდებულება არ აღიარდება ან არ გამჟღავნდება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

როგორც ჩანს, კომპანია „ველა შიფბილდერსი“, რომელიც ჯგუფისთვის ახალ „ექსპლორერ კრუიზის“ გემებს აშენებს, ჯგუფის დაკავშირებული მხარეა. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ მაქს დრაკო როგორც ჯგუფის, ისე კომპანია „ველა შიფბილდერსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. ბასს 24-ის - *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები* - მიხედვით დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობა არსებობს მაშინ, როდესაც პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე, ან არის ორი ანგარიშვალდებულ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. ფაქტი, რომ მარკოს ვაჟი კომპანია „ველა შიფბილდერსის“ აღმასრულებელი დირექტორია, ასევე მიუთითებს დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობაზე ჯგუფსა და ამ კომპანიას შორის.

ბასს 24-ით მოითხოვება, რომ ორ დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციების შემთხვევაში საჭიროა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათის ახსნა, ასევე ამ ოპერაციებისა და დაუფარავი ნაშთების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გაგებისათვის. არსებობს აუდიტორული რისკი, რომ ჯგუფის მიერ კომპანია „ველა შიფბილდერსისგან“ გემების შეძენასთან დაკავშირებით ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო გამჟღავნება გაკეთებული არ არის.

დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები არსებითია თავისი ხასიათით, თუმცა ისინი სავარაუდოდ არსებითი იქნება ფულადი ღირებულების მიხედვითაც. მოცემულ ინფორმაციაში მითითებული არ არის, წლის განმავლობაში რამდენი გადაუხადეს კომპანია „ველა შიფბილდერსს“, მაგრამ ეს თანხა

მნიშვნელოვანი იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფმა ალბათ ბოლო ტრანშის გადახდები განახორციელა გემებისთვის, რომლებიც ექსპლუატაციაში წლის განმავლობაში შევიდა და ასევე გადაიხადა საწყისი ტრანშების თანხა ახალი გემებისთვის, რომელთა მშენებლობა წელს იწყება.

ოპერირების ლიცენზია

ჯგუფის \$56 მილიონის ღირებულების ოპერირების ლიცენზია არსებითია ფინანსური ანგარიშგებისთვის. მიზანშეწონილია, რომ ეს ლიცენზიები არამატერიალური აქტივების სახით არის აღიარებული და მათი კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად ამორტიზდება. თუმცა, აუდიტორული რისკი წარმოიქმნება ამ ლიცენზიებიდან ზოგიერთის შესაძლო გაუფასურების გამო, რაც განაპირობებს მთავრობების მიერ ლიცენზიების გაუქმებამ ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც „პიონერ კრუზის“ ახორციელებს საქმიანობას. მართალია, ლიცენზიის გაუქმება, როგორც ჩანს დროებითია, მაგრამ ლიცენზიის გაუქმება მიუთითებს გაუფასურებაზე და შეიძლება ოპერირების ლიცენზიების ღირებულება ნულია, ამიტომ სრულად უნდა ჩამოიწეროს. ხელმძღვანელობამ გაუფასურების მიმოხილვა ბასს 36-ის - *აქტივების გაუფასურება* - შესაბამისად უნდა განახორციელოს, განსაზღვროს ამ ლიცენზიების ანაზღაურებადი ღირებულება და თუ ის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, გაუფასურების ზარალი უნდა აღიაროს შესაბამისად. თუ ეს არ განხორციელდება, მაშინ არამატერიალური აქტივები და მოგება სავარაუდოდ ზედმეტად იქნება შეფასებული.

მეთოდური მითითება. ქულები მოგენიჭებათ როგორც ოპერირების ლიცენზიების აღიარების შეწყვეტის განხილვისთვის, ასევე მათი ღირებულების შემცირებისა და იმის განხილვისთვის, „პიონერ კრუზის“ გემების გაუფასურებაზე შემოწმებაც ხომ არ არის საჭირო.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ამენებული გემები აკმაყოფილებენ განსაკუთრებული აქტივის განმარტებას ბასს 23-ის - *ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები* - მიხედვით, სადაც განსაკუთრებული აქტივი განმარტებულია, როგორც აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. აღნიშნული მოიცავს ძირითად საშუალებებსა და მოწყობილობებს შესაფერის მშენებლობის პერიოდში, რომელიც გემების შემთხვევაში სამი წელია. ბასს 23-ით მოითხოვება განსაკუთრებული აქტივის შედენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯების კაპიტალიზება. აუდიტორული რისკი არის ის, რომ საპროცენტო ხარჯი სათანადოდ კაპიტალიზებული არ არის და სანაცვლოდ აღრიცხულია, როგორც ფინანსური დანახარჯი, რაც განაპირობებს აქტივების ნაკლებად შეფასებას და წლის მოგების ნაკლებად შეფასებას.

როგორც ჩანს ეს თანხები არსებითი არ არის. ინფორმაციაში მითითებული არ არის ზუსტად როდის იქნა სესხები აღებული და როდის დაიწყო გემების მშენებლობა, ან როდის შევიდა ეს გემები ექსპლუატაციაში, ამიტომ, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ზუსტად როდის უნდა დაიწყოს და შეწყდეს ფინანსური დანახარჯების კაპიტალიზება. თუმცა, იმ გემების ასაშენებლად აღებული \$180 მილიონიანი სესხის, რომელთა მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს, პროცენტის თანხა ამ წელს იქნება \$11.7 მილიონი, რაც არსებითი თანხაა.

ამონაგებისა და მოგების ტენდენციები

პროგნოზის მიხედვით ჯგუფის მთლიანი მოგება წელს 14%-ით გაიზრდება. სეგმენტური ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ აღნიშნული საერთო ზრდა მოიცავს განსხვავებულ ცვლილებებს სამ ბრენდს შორის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი) და აღნიშნულ ცვლილებებთან სავარაუდო რისკებია დაკავშირებული.

თითოეული სეგმენტის განსხვავებული ტენდენციები შეიძლება აიხსნას ბიზნესთან დაკავშირებული მიზეზებით, თუმცა, არსებობს პოტენციური რისკი, რომ ამონაგები არასწორად არის კლასიფიცირებული სეგმენტებს შორის, მაგ., „ექსპლორერ კრუზის“ ამონაგები შეიძლება ნაკლებად არის შეფასებული მაშინ როდესაც „პიონერ კრუზის“ ამონაგები ზედმეტად არის შეფასებული.

კერძოდ, „პიონერ კრუიზის“ პერსპექტიულ ამონაგებზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ოპერირების ლიცენზიების ახლახან გაუქმებამ, რომელიც ამ კრუიზის მარშრუტებს ეხება. ხელმძღვანელობას შეიძლება აღნიშნული გათვალისწინებული არ ჰქონდა თავის პროგნოზში და არსებობს რისკი, რომ ამ სეგმენტის ამონაგები ზედმეტად არის შეფასებული.

პროგნოზის მიხედვით წელს საოპერაციო მოგება 43.6%-ით გაიზრდება, ხოლო დაბეგვრამდე მოგება 24.6%-ით. მართალია, გაზრდილი მარჟები შეიძლება მასშტაბის ეკონომიით არის გამოწვეული, მაგრამ მოგების ზრდა, როგორც ჩანს, შესაბამისობაში არ არის ამონაგების ზრდასთან და შეიძლება ხარჯების ნაკლებად შეფასებაზე ან არასწორ კლასიფიკაციაზე მიუთითებდეს.

გემბანზე გაყიდვები

სურსათის, სასმელისა და გართობის გემბანზე გაყიდვაზე მოდის ამონაგების დაახლოებით 15%. არსებობს რისკი, რომ ეს საანგარიშგებო საოპერაციო სეგმენტია, მაგრამ საოპერაციო სეგმენტების პერსპექტიულ ინფორმაციაში ეს ამონაგები ცალკე არ არის ასახული. ფასს 8-ის - საოპერაციო სეგმენტები - მიხედვით საოპერაციო სეგმენტი არის საწარმოს კომპონენტი, რომელსაც უკავია ბიზნესის ისეთი ნაწილი, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება და რომლის საოპერაციო შედეგებს რეგულარულად იხილავს საწარმოში საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი და მის შესახებ არსებობს განცალკევებული ფინანსური ინფორმაცია, რაც, როგორც ჩანს, ასეა ამ შემთხვევაში.

საანგარიშგებო სეგმენტი არსებობს, როდესაც სეგმენტის ამონაგები ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული ამონაგების 10% ან მეტია. არსებობს ამონაგების საოპერაციო სეგმენტების მიხედვით არასრული გამჟღავნების რისკი, თუ გემბანზე გაყიდვები აკმაყოფილებს საოპერაციო სეგმენტის განმარტებას და ის ამგვარად ასახული არ არის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

(ბ) აუდიტის ძირითადი პროცედურები, რომლებიც სეგმენტურ ინფორმაციაზე უნდა შესრულდეს

- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის გაგზავნილი ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რათა დადასტურდეს სეგმენტური ინფორმაციის საფუძველი, რომლის ანგარიშგება კომპანიაში ხორციელდება და იმის დადასტურება, რომ ეს საფუძველი გამოიყენება გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში
- ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირის დასადასტურებლად.
- ხელმძღვანელობასთან იმ საშუალებების განხილვა, რომელთა მეშვეობით სეგმენტურ ინფორმაციას განიხილავს საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, მაგ., თვიური ფინანსური ანგარიშგების ან საბჭოს შეხვედრებზე განხილვების მეშვეობით.
- საბჭოს ოქმების მიმოხილვა, რათა დადასტურდეს, რომ სეგმენტები გამოიყენება საქმიანობის ფინანსური შედეგების მონიტორინგისთვის.
- ხელმძღვანელობასთან განხილვა, გემბანზე გაყიდვების ანგარიშგება ცალკე უნდა განხორციელდეს თუ არა, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ჩანს, ამ საანგარიშგებო სეგმენტზე მოდის ჯგუფის მთლიანი გაყიდვების 10% და მისი მონიტორინგი აქტიურად ხორციელდება.
- ამონაგების დანაწევრების მოპოვება, რათა დადასტურდეს, რომ ამონაგები სათანადოდაა განაწილებული საანგარიშგებო სეგმენტებს შორის.
- ანალიზური პროცედურების შესრულება, რათა განისაზღვროს თითოეული სეგმენტის ტენდენციები და უჩვეულო ტენდენციების ხელმძღვანელობასთან განხილვა.
- მოწოდებული დანაწევრებული ინფორმაციიდან მთლიანი ამონაგების ხელახლა გამოთვლა, რათა დადასტურდეს, რომ ისინი საანგარიშგებო სეგმენტებს წარმოადგენენ, ანუ, თითოეულ მათგანს შეაქვს წვლილი ამონაგების 10%-ში.

**(გ) დამატებითი მომსახურება - ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციის გაწევა სოციალურ და გარემოს-
დაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებით**

ჯგუფის მოთხოვნა, რომ „პეგასუსმა“ კომპანიის ხელმძღვანელობას კონსულტაცია გაუწიოს თავის სოციალურ და გარემოსდაცვის ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ობიექტურობის ეთიკურ საფრთხეს წარმოქმნის. აუდიტის დამკვეთისთვის დამატებითი, არააუდიტორული მომსახურების გაწევა აუდიტორის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის რამდენიმე საფრთხეს წარმოქმნის.

ბესს-ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსში კონკრეტულად არ არის მითითებული დამატებითი მომსახურების გარიგების ტიპი, ამიტომ აუდიტორულმა ფირმამ ზოგადი საფუძვლები უნდა გამოიყენოს იმის განსაზღვრისას, მიზანშეწონილია თუ არა ამ მომსახურების გაწევა. ეს ნიშნავს, რომ ფირმამ დამოუკიდებლობის საფრთხეების მნიშვნელობა უნდა შეაფასოს და გაითვალისწინოს შესაძლებელია თუ არა დამცავი ზომებით ამ საფრთხეების მისაღებ დონემდე შემცირება.

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ეთიკური პრობლემაა ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციის გაწევა, რაც მოიცავს იმის განსაზღვრას, თუ როგორ განხორციელდება სოციალური და გარემოს-დაცვითი ინფორმაციის შეფასება და გამოქვეყნება, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღებად და აკრძალულია ამ კოდექსით. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის აღების თავიდან ასაცილებლად აუდიტორული ფირმა უნდა დარწმუნდეს, რომ ხელმძღვანელობამ აიღო პასუხისმგებლობა ყველა განსჯასა და გადაწყვეტილებაზე, რაც მისი პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. დამცავი ზომები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- იმის უზრუნველყოფა, რომ ხელმძღვანელობამ გამოყოს სათანადო უნარების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე წევრი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დამკვეთის გადაწყვეტილებებზე და მომსახურების ზედამხედველობაზე,
- შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობა და შედეგების შეფასება ხელმძღვანელობის მიერ და
- ხელმძღვანელობის მიერ პასუხისმგებლობის აღება გაწეული მომსახურების შედეგად განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

თუ „პეგასუსი“ ჯგუფს ამ მომსახურებას გაუწევს, შეიძლება თვითშეფასების საფრთხე წარმოიშვას. ზოგიერთი სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ოპერაციებსა და ნაშთებთან, რომელიც აუდიტს დაექვემდებარება, მაგალითად, საქველმოქმედო შენატანების ოდენობა. თვითშეფასების საფრთხე ნიშნავს, რომ შეიძლება ნაკლებად დეტალურად იქნეს საკითხი გამოკვლეული პროცედურების შესრულებისას, აუდიტორული ფირმის მიერ ადრე შესრულებულ სამუშაოზე ზედმეტად დაყრდნობის გამო. ეს სავარაუდოდ გავლენას ახდენს აუდიტის დროს გამოყენებულ პროფესიულ სკეპტიციზმზე და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

შეიძლება არსებობდეს თვითშეფასების დამატებითი საფრთხე, რაც დამოკიდებულია იმაზე, აღნიშნული სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაცია აისახება თუ არა წლიურ ანგარიშში. თუ ეს ასე იქნება, მაშინ აუდიტის გუნდს ასს 720-ით - *აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით* - მოითხოვება, რომ აუდიტორი უნდა გაეცნოს წლიურ ანგარიშში ასახულ სხვა ინფორმაციას და განიხილოს, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის და არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და აუდიტის მსვლელობისას მიღებულ აუდიტორის ცოდნას შორის. ეს მოთხოვნა თვითშეფასების საფრთხეს წარმოქმნის, თუ აუდიტის გუნდის წევრები ჩართულნი იყვნენ დამატებითი მომსახურების გაწევაში, რომელიც გულისხმობდა სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეფასების შესახებ კონსულტაციის გაწევას.

არააუდიტორული მომსახურების გაწევით შეიძლება წარმოიქმნას ასევე ანგარების საფრთხე, როდესაც საზღაური საკმაოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დამკვეთზე აუდიტორის ფაქტობრივი ან საექვო ეკონომიკური დამოკიდებულება წარმოქმნას. ჯგუფი მზად არის „გაზრდილი საზღაური“ გადაიხადოს ამ მომსახურებისთვის, მომსახურების საგანგებო ხასიათის გამო და მართალია, ეს

აუცილებელი არ არის, რომ საზღაურზე დამოკიდებულებას წარმოქმნიდეს, მაგრამ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ აუდიტორულმა ფირმამ უზრუნველყო ხელსაყრელი შემოსავლის მიღება საზღაურის სახით, აუდიტის მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალთან ერთად.

ჯგუფს სჭირდება, რომ სამუშაო შემჭიდროებულ ვადებში შესრულდეს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს იმ პროცედურების მოქმედების სფეროსა და მასშტაბზე, რომლებიც აუდიტორს შეუძლია რომ ჩაატაროს. ასევე, შეიძლება გავლენა იქონიოს სამუშაოს ხარისხზე და გარიგების რისკზე. სამუშაოს სწრაფად, მომდევნო თვეში, შესრულებაზე ზეწოლა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამკვეთის მხრიდან შანტაჟის საფრთხედ.

ყველა აღნიშნული საფრთხე იზრდება იმ ფაქტის გამო, რომ ჯგუფი კოტირებული საწარმოა და შესაბამისად, საზოგადოებრივი დაინტერესების საწარმოა კოდექსის ტერმინოლოგიის მიხედვით.

შესაძლებელია სხვა დამცავი ზომების გამოყენება გამოვლენილი საფრთხეების მისაღებ დონემდე შესამცირებლად. აღნიშნული მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე სამუშაოდ აუდიტის გუნდისგან განცალკევებული გუნდის გამოყენებას, მათ შორის ცალკე პარტნიორის; და ორივე, აუდიტისა და დამატებითი მომსახურების მიმოხილვის ჩატარებას გარიგების ხარისხის მიმოხილველის მიერ.

აუდიტორულმა ფირმამ ეს მოთხოვნა უნდა განიხილოს ჯგუფის აუდიტის კომიტეტთან, რომელმაც საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს ფირმის მიერ ამ მომსახურების შესრულება. კორპორაციული მართვის კოდექსით, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას, შეიძლება შეზღუდული ან აკრძალული იყოს აუდიტორული ფირმის მიერ არააუდიტორული მომსახურების გაწევა კოტირებული საწარმოებისთვის, ამიტომ აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს, მსგავსი შეზღუდვა არსებობს თუ არა.

საჭიროა ასევე ახალი კანონმდებლობის მოთხოვნების განხილვა. აუდიტორულმა ფირმამ ნათლად უნდა გაარკვიოს მარეგულირებელი ორგანოების მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობის საკითხი და ასევე ისეთი საკითხები, როგორცაა მაგალითად, საჭიროა თუ არა რწმუნების დასკვნა და თუ საჭიროა, ვინ შეასრულებს ამ სამუშაოს. ამასთან, შეიძლება სპეციფიკური მოთხოვნაც არსებობდეს, რომელიც გავლენას მოახდენს სამუშაოს მოქმედების სფეროზე, მაგალითად, მოითხოვება თუ არა კონკრეტული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების გამოქვეყნება.

დაბოლოს, ეთიკური პრობლემების გადაჭრის შემთხვევაში ფირმამ უნდა გაითვალისწინოს, აქვს თუ არა უნარები და კომპეტენცია ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციის გასაწევად. ეს საკმაოდ სპეციფიკური სამუშაოა და შეიძლება ფირმას არ ჰყავდეს სათანადო უნარების მქონე ხელმისაწვდომი პერსონალი ამ სამუშაოს შესასრულებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს შემჭიდროებულ ვადებში შესრულება იქნება საჭირო.

მამასადამე, სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ ხელმძღვანელობისთვის კონსულტაციის გაწევას რაც შეეხება, რთული იქნება ამის გაკეთება ეთიკური პრინციპების დარღვევის გარეშე და დამატებითი განხილვაა საჭირო ჯგუფის აუდიტის კომიტეტთან.

დასკვნა

წინამდებარე მოკლე ჩანაწერებში ხაზგასმულია მრავალი მნიშვნელოვანი აუდიტორული რისკი, მათ შორის ძირითად საშუალებებთან, ამონაგების აღიარებასთან და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებთან დაკავშირებით. რეკომენდებულია მრავალი აუდიტის პროცედურა ამონაგებთან მიმართებით მოწოდებულ სეგმენტურ ინფორმაციასთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, საჭიროა დამატებითი მომსახურების კიდევ განხილვა ჯგუფის აუდიტის კომიტეტთან.

მე-2 კითხვა

წყარო. სახელმძღვანელოს მე-2, მე-4 და მე-5 თავები.

ექსპერტის რჩევები. ამ გამოცდის მეორე კითხვა ორ მინისცენარად იყო დაყოფილი, რომელთაგან ერთი ეხებოდა დასრულებულ აუდიტს, მეორე კი აუდიტს, რომელიც ჯერ არ ჩატარებულა.

ამ კითხვით ფაქტობრივად მოგეთხოვებოდათ შესრულებული აუდიტის კრიტიკა. ამისათვის 20 ქულა იყო გამოყოფილი, ამიტომ ამ ნაწილში თქვენი პასუხი არსებითი უნდა ყოფილიყო. ეს მნიშვნელოვანს ხდის ყველა საკითხის რაც შეიძლება ნათლად გადმოცემას, რათა გამომცდელმა შეძლოს ყველაფრის აღქმა და თქვენთვის რაც შეიძლება მეტი ქულების მონიჭება!

აქ მნიშვნელოვანი იყო, რომ არ გამოგრჩენოდათ სათანადო შესასრულებელი ქმედებების რეკომენდაცია. აუდიტი დასრულებულია, ამიტომ ეს ქმედებები არ შეიძლება, რომ იყოს ქმედებები, რომლებიც ახლახან განხორციელდა, სანაცვლოდ, ეს ქმედებები უნდა ეხებოდეს იმას, თუ რისი გაკეთება სჭირდება აუდიტორს ახლა, როდესაც ყველაფერი უკვე მოხდა.

ადვილად მოსაპოვებელი ქულები. აუდიტთან დაკავშირებით გარკვეული აშკარა სირთულეები წარმოიშვა, რამაც განაპირობა თქვენ მიერ ადვილად მისაღები რამდენიმე ქულის წარმოქმნა.

შეფასების სქემა

ქულები

კომპანია „რივერსი“

საზოგადოდ, 1 ქულა თითოეული კარგად ახსნილი საკითხისთვის:

- აუდიტის პარტნიორის ხანგრძლივი მუშაობა ბესს-ის კოდექსის დარღვევა, ნებადართულია მაქსიმუმ 7 წელი
- ანგარების საფრთხე გამოვლენილი და ახსნილია
- ფამილიარული ურთიერთობის საფრთხე გამოვლენილი და ახსნილია
- ბობის ახალი პარტნიორით რაც შეიძლება მალე ჩანაცვლების რეკომენდაცია
- როგორც ჩანს, ფირმის მიერ იმ დროის მონიტორინგი, რომელსაც პარტნიორები ხარჯავენ დამკვეთზე, არასრულყოფილია
- აუდიტის პარტნიორს უფრო მეტი დრო უნდა დაეხარჯა აუდიტზე, განსაკუთრებით საბოლოო მიმოხილვაზე
- აუდიტზე დახარჯული მთლიანი დრო ცოტაა კოტირებული კომპანიის აუდიტისთვის - გავლენა აუდიტის ხარისხზე
- დავალებების არასათანადოდ განაწილება, უმცროსი აუდიტის მენეჯერს არა აქვს გამოცდილება
- შეიძლება არ არსებობდეს საკმარისი, შესაფერისი მტკიცებულება აუდიტორის მოსაზრების მხარდასაჭერად
- შეიძლება „ველფორდმა“ აკრძალული არააუდიტის სამუშაო შეასრულა „რივერსისთვის“, რომელიც კოტირებული კომპანიაა
- არააუდიტორული მომსახურების საზღაურის ოდენობა ანგარების საფრთხეს წარმოშობს
- არააუდიტორული მომსახურების გაწევაში ბობის ჩართულობა აუდიტის დამოუკიდებლობის ფამილიარული ურთიერთობის საფრთხეს წარმოქმნის
- დოკუმენტაციის არარსებობა შეიძლება მიუთითებდეს, რომ სამუშაო არ შესრულებულა - შესაძლო ქრთამი დამკვეთისგან
- „ველფორდმა“ უნდა ჩაატაროს გარიგებაზე დათანხმებასთან დაკავშირებული

- აუდიტის მოსაზრების გაცემამდე გარიგების ხარისხის მიმოხილვის აშკარად არარსებობა.
- ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ სამუშაოს არასათანადოდ განაწილება გამოუცდელ აუდიტის თანაშემწეზე
- მიმოხილვისთვის შერჩეული ხელშეკრულებების რაოდენობა ძალიან მცირეა - არასაკმარისი მტკიცებულებაა მოპოვებული
- ხელმძღვანელობის მიერ ხელშეკრულებების შერჩევა სავარაუდოდ მიკერძოებას ექვემდებარება - აუდიტორმა უნდა შეარჩიოს ხელშეკრულებები, რომელთა მიმოხილვაც უნდა შეასრულოს
- მონაცემების ანალიზურ ინსტრუმენტზე ზედმეტად დაყრდნობა და მისი არასწორად აღქმა
- არასაკმარისი სამუშაო ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით – საჭიროა დაშვებების ექვემდებარება და არა გასულ წელს გამოყენებულ დაშვებებთან შედარება
- შეიძლება მონაცემების ანალიზის გამოყენება ფუნქციონირებადი საწარმოს შემოწმებისთვის, მაგალითად, მგრძობელობის ანალიზი
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შემოწმებაზე ნაკლები დროის დახარჯვა მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტზე ზედმეტად დაყრდნობის გამო
- საჭიროა დამატებითი ტრენინგი
- დამკვეთის აუდიტის კომიტეტი – უნდა გამოევილინა ეთიკური და აუდიტის ხარისხის პრობლემები
- საერთო დასკვნა გარიგების ხარისხთან დაკავშირებით

მაქს. 23

პროფესიული ქულები

ანალიზი და შეფასება

- გარიგებასთან დაკავშირებული ეთიკური და პროფესიული საკითხების სათანადოდ შეფასება, მაგალითების გამოყენებით, როდესაც შესაძლებელია;
- ინფორმაციის ეფექტური შეფასება სათანადო სამოქმედო კურსის შესაფერისი რეკომენდაციებისთვის.

პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა

- მოწოდებული მტკიცებულების შესრულებისა და მასშტაბის ეფექტურად ექვემდებარება და კრიტიკული შეფასება, სათანადო დასკვნებით;
- ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების გამოვლენის უნარის დემონსტრირება, მათ შორის გამოტოვებული ინფორმაციის ან იმ დამატებითი ინფორმაციის გამოვლენა, რომელიც მიზნისთვის საჭირო იქნება;
- პროფესიული განსჯის სათანადოდ გამოყენება დასკვნების გამოსატანად და ინფორმირებული კომენტარების გაკეთება შესრულებული აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით.

კომერციული ალღო

- ფირმისთვის საჭირო დამატებითი ხარისხის მართვის პროცედურებთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციების ასახვა;
- გარიგებაზე, აუდიტორულ ფირმასა და კომპანიაზე უფრო ფართო გავლენის სათანადოდ აღიარება.

კომპანია „რივერსი“

კომპანია „რივერსის“ აუდიტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიმოხილვა აუდიტის დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით მრავალ პრობლემას წარმოაჩენს, რაც ნიშნავს, რომ აუდიტი არ ჩატარებულა ასს 220-ის (გადასინჯული) - ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა, ხმს 1-ის - ხარისხის მართვა ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს და ზესს-ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

აუდიტის პარტნიორის როტაცია

ბობ ნიუბოლდი აუდიტის გარიგების პარტნიორის მოვალეობას ასრულებს რვა წლის განმავლობაში. რადგან კომპანია „რივერსი“ კოტირებული კომპანიაა, ეს კოდექსს ეწინააღმდეგება, რომლითაც მოითხოვება, რომ პირი გარიგების პარტნიორად შვიდ წელზე მეტხანს არ უნდა მუშაობდეს. პრობლემა ის არის, რომ გარიგების პარტნიორის დამკვეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა განაპირობებს აუდიტორის ობიექტურობის ანგარების საფრთხეს და აუდიტორული ფირმის განსჯაზე გავლენა აქვს დიდი ხნის დამკვეთის დაკარგვის შიშს. აუდიტის გარიგების პარტნიორისა და კომპანია „რივერსის“ ხელმძღვანელობას შორის მჭიდრო ურთიერთობის გამო წარმოიქმნება ასევე ფამილიარული ურთიერთობის საფრთხე, რაც ნიშნავს, რომ პარტნიორი აღარ გამოიყენებს საკმარის პროფესიულ სკეპტიციზმს, რაც გავლენას ახდენს აუდიტის ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ასეა იმის გათვალისწინებით, რომ ბობი დამატებით არააუდიტორულ მომსახურებას ასრულებს დამკვეთისთვის, რომელიც უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული. საჭიროა ბობ ნიუბოლდის რაც შეიძლება სწრაფად ჩანაცვლება სხვა აუდიტის გარიგების პარტნიორით.

ფაქტი, რომ ბობს ნება დართეს, რომ აუდიტის გარიგების პარტნიორად მუშაობა გაეგრძელებინა კოდექსით ნებადართულ პერიოდზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მიუთითებს, რომ „ვეფორდს“ არა აქვს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შემუშავებულია გონივრული რწმუნების უზრუნველყოფისთვის, რომ ფირმა და მისი პერსონალი დაიცავს შესაფერის ეთიკურ მოთხოვნებს, როგორც ეს ხმს 1-ით მოითხოვება. ფირმამ უნდა განიხილოს ეფექტურად მუშაობს თუ არა მისი აუდიტის გარიგების პარტნიორის აუდიტის დამკვეთთან მუშაობის ხანგრძლივობის მონიტორინგი და საჭიროებისამებრ გააუმჯობესოს შიდა კონტროლი, რათა უზრუნველყოს ხმს 1-თან შესაბამისობა.

მეთოდური მითითება. კოდექსით ნამდვილად ნებადართულია ძირითადი აუდიტის პარტიონის მიერ დამატებით ერთი წლის განმავლობაში მუშაობა ისეთ სიტუაციაში, როდესაც უწყვეტობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუდიტის ხარისხისთვის, თუ შესაძლებელია დამოუკიდებლობის საფრთხის ანულირება ან მისაღებ დონემდე შემცირება. ქულები მოგენიჭებათ ამ საკითხის სათანადოდ განხილვისთვის.

ზედამხედველობა და მიმოხილვა

ბობ ნიუბოლდმა კომპანია „რივერსის“ აუდიტზე მუშაობის მხოლოდ ორი საათი აღრიცხა. ეს საკმარისი დრო არ არის აუდიტის პარტნიორის მიერ საკუთარი მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად. აუდიტის პარტნიორს მოეთხოვება სათანადო ოდენობით დროის დახარჯვა აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვაზე, რათა დარწმუნდეს, რომ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებებია მოპოვებული; ეს ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნაა. სანაცვლოდ, როგორც ჩანს საბოლოო მიმოხილვის უმეტესი ნაწილი ახლად დაწინაურებულმა აუდიტის მენეჯერმა შეასრულა, რომელსაც ვერ ექნება ამ მიმოხილვის შესრულებისთვის საჭირო გამოცდილება. შეიძლება არასაკმარისი მტკიცებულება

გაცემული აუდიტის მოსაზრების მხარდასაჭერად ან არასათანადო მტკიცებულებაა მოპოვებული.

არსებობს ასევე დაკავშირებული საკითხი სამუშაოს დელეგირებასთან დაკავშირებით. შეიძლება სამუშაო დოკუმენტების დეტალური მიმოხილვის გარკვეული ნაწილის დელეგირება აუდიტის პარტნიორის გარდა გუნდის სხვა წევრისთვის, რა შემთხვევაშიც ამ სამუშაოს შესასრულებლად შესაფერისი პირი იქნებოდა პეტ კენლი. თუმცა, პეტმა მხოლოდ ექვსი საათი იმუშავა ამ აუდიტზე. ამგვარად, ეს ადასტურებს, რომ მიმოხილვის მეტისმეტად დიდი ნაწილი იქნა დელეგირებული უმცროს აუდიტის მენეჯერზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრობლემა გამოვლინდა, როგორც აუდიტის მნიშვნელოვანი რისკი, რაც ნიშნავს, რომ პარტნიორს აუდიტის სამუშაოს საბოლოო მიმოხილვაში ჩართულობის უფრო მეტი მიზეზი ჰქონდა.

პრობლემა არსებობს ასევე ამ დამკვეთის აუდიტის შესასრულებლად აღრიცხულ მთლიანად დახარჯულ დროსთან დაკავშირებით. ჯამში 173 საათი, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის კოტირებული კომპანიის აუდიტისთვის, რაც გვიჩვენებს, რომ აუდიტის სამუშაოს დაგეგმვასა და შესრულებაზე არასათანადო ხანგრძლივობის დროის დახარჯვამ შეიძლება გავლენა იქონია აუდიტის ხარისხზე.

სპეციალური გამოკვლევა

როგორც ჩანს, ბობ ნიუბოლდი აქცენტს აკეთებს კომპანია „რივერსისთვის“ შესრულებული სპეციალურ გამოკვლევაზე, რომელზეც მან 40 საათი დახარჯა.

დოკუმენტაცია არ არსებობს არააუდიტის სამუშაოს ხასიათთან დაკავშირებით და ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ისეთი არააუდიტორული მომსახურების გაწევასთან, რომელიც ნებადართული არ არის საზოგადოებრივი დაინტერესების საწარმოსთვის. კომპანია „რივერსი“ კოტირებული კომპანიაა და კოდექსით აკრძალულია აუდიტორული ფირმის მიერ გარკვეული არააუდიტორული მომსახურების გაწევა, მაგალითად, გარკვეული შიდა აუდიტის მომსახურებების, შეფასების მომსახურებებისა და საგადასახადო მომსახურებების. დოკუმენტაციის არარსებობა ნიშნავს, რომ „ველფორდმა“ შეიძლება აკრძალული მომსახურება გასწია და შესაბამისად, დაარღვია კოდექსი.

ფაქტი, რომ აღნიშნული სპეციალური გამოკვლევის საზღაური \$890,000-ის ოდენობით დააკისრეს დამკვეთს, მიუთითებს, რომ ეს არსებითი გარიგება იყო და არასათანადო დოკუმენტაცია შემფოთებას იწვევს. შეიძლება ასევე, რომ ფაქტობრივად სამუშაო საერთოდ არ შესრულებულა და ფირმამ დამკვეთისგან ეს ფული მომსახურების გაწევის გარეშე მიიღო. ეს სერიოზული პრობლემაა და შეიძლება ქრთამად იქნეს მიჩნეული, ამიტომ საჭიროა ამ შემთხვევის სასწრაფოდ გამოკვლევა.

თუმცა, აუდიტორის ობიექტურობის რამდენიმე საფრთხე არსებობს, მათ შორის ანგარების საფრთხე გაწეული მომსახურების ფულადი ღირებულების გამო, რაც ნიშნავს, რომ ბობი ნიუბოლდმა ყურადღება სპეციალურ გამოკვლევაზე გაამახვილა აუდიტის ნაცვლად, რამაც წარმოქმნა ზემოთ განხილული პრობლემები სამუშაოს არასათანადოდ განაწილებასთან დაკავშირებით. კომპანია „რივერსთან“ მისი დამატებითი ჩართულობა წარმოქმნის ფამილიარული ურთიერთობის საფრთხეს, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. დამკვეთისთვის შესრულებული სამუშაოს ხასიათის მიხედვით შეიძლება ობიექტურობის სხვა საფრთხეებიც წარმოიქმნა, მათ შორის თვითშეფასებისა და ადვოკატირების საფრთხეები.

ანგარების საფრთხე წარმოიქმნება, რადგან გაწეული მომსახურების ღირებულება არსებითია აუდიტის საზღაურთან შედარებით. ფაქტი, რომ არააუდიტორული მომსახურების ღირებულება ასეთი მაღალია, პროპორციულად უფრო დიდი შანტაჟის საფრთხეს ქმნის, რადგან ფირმის შემოსავალში ამ კომპანიისგან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი უფრო მეტი იქნება და აუდიტორული ფირმა შეიძლება ობიექტური აღარ იყოს ამ დამკვეთის დაკარგვის შიშით.

„ველფორდმა“ უნდა უზრუნველყოს მისი გარიგებაზე დათანხმების პოლიტიკისა და დოკუმენტაციის, განსაკუთრებით არსებული აუდიტის დამკვეთებისთვის დამატებითი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მიმოხილვა და გამკაცრება, საჭიროების შემთხვევაში.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა

ვინაიდან ეს კოტირებული აუდიტის დამკვეთია, საჭირო იყო გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება. ნათელი არ არის ეს განხორციელდა თუ არა, მაგრამ ამ მიმოხილვის განხორციელებისთვის დახარჯული დრო არ აღურიცხავთ. დასკვნის გაცემამდე მიმოხილვა რომ ჩატარებულიყო, აუდიტორის დასკვნის გაცემამდე გამოვლინდებოდა ეს პრობლემები.

ფუნქციონირებადი საწარმოს აუდიტი

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით აუდიტის სამუშაო არასათანადოდ იქნა დელეგირებული აუდიტის თანაშემწეზე, რომელსაც ვერ ექნებოდა საჭირო უნარები ან გამოცდილება. ეს განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ფუნქციონირებადობა გამოვლინდა, რომ აუდიტის მნიშვნელოვანი რისკია და სამუშაო მოიცავს განსჯის გამოყენებას ხელშეკრულების შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებისთვის. ეს სამუშაო გუნდის შედარებით უფროს წევრს უნდა შეესრულებინა, სავარაუდოდ აუდიტის ერთ-ერთ მენეჯერს, რომელიც შეძლებდა უფრო მეტი პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენებას და ეჭვქვეშ დააყენებდა ხელმძღვანელობის მიერ პროგნოზის შედგენისას გამოყენებულ დაშვებებს, საჭიროების შემთხვევაში. მერის ნამდვილად არ უნდა განეხორციელებინა ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ დასკვნის დოკუმენტირება, ეს დასკვნა უფრო გამოცდილ აუდიტორს უნდა მიეღო მოპოვებული მტკიცებულების მთლიანად მიმოხილვის შემდეგ.

შემაშფოთებელია, რომ აუდიტის სამუშაო, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული ხელშეკრულებების მიმოხილვას ეფუძნება. პირველი, მხოლოდ ხუთი ხელშეკრულების მიმოხილვა განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია, როგორც წესი, ერთდროულად 20 ხელშეკრულებაზე მუშაობს. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ აუდიტის სამუშაოს მოქმედების სფერო არასაკმარისია და უფრო მეტი ხელშეკრულებების მიმოხილვა უნდა განხორციელდებოდა. რადგან რისკი დაკავშირებული იყო საწარმოს ფუნქციონირებადობასთან, ალბათ საჭირო იყო ყველა ხელშეკრულების მიმოხილვა, რომელთა შესრულება ახლა მიმდინარეობს, ან შერჩევითი ერთობლიობა უნდა განესაზღვრათ თითოეულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკისა და არსებითობის შეფასების საფუძველზე.

მეორე, შეიძლება ხელმძღვანელობამ მერის მიერ განსახილველად უკეთესი შედეგების მქონე ხელშეკრულებები შეარჩია. ეს მცდარ წარმოდგენას შექმნის მთლიანობაში კომპანიის საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებით, რაც გამოიწვევს საწარმოს ფუნქციონირებადობის თაობაზე არასათანადო დასკვნის გამოტანას. მერის ან აუდიტის გუნდის რომელიმე უფროს წევრს ეჭვქვეშ უნდა დაეყენებინა ხელმძღვანელობის მიერ ამ ხელშეკრულებების შერჩევა.

დაბოლოს, მერის მიერ ხელშეკრულებების ამ მცირე შერჩევით ერთობლიობაზე ჩატარებული სამუშაო, როგორც ჩანს, არასაკმარისი და არასათანადოა. ამასთან, როგორც ჩანს, აუდიტის თანაშემწე მეტისმეტად დაყრდნობს ფირმის მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტს და მან წარმოაჩინა, რომ არ ესმის, როგორ უნდა გამოიყენოს მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტი აუდიტის მტკიცებულების მოსაპოვებლად. მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტის უბრალოდ პროგნოზებისა და დაშვებების მათემატიკური სისწორის შესადარებლად გამოყენება ნიშნავს, რომ ეს ძირითადი დოკუმენტები არასაკმარისად შემოწმდა. დაშვებების გასული წლის დაშვებებთან შესაბამისობა არ უნდა შეემოწმებინა, განსაკუთრებით ისეთი მზარდი ეკონომიკური განუზღვრელობის პირობებში, რომელიც ამ შემთხვევაშია. საჭირო იყო დაშვებების ეჭვქვეშ დაყენება და სხვა სამუშაოს შესრულება, როგორც მოითხოვება ასს 570-ით - *ფუნქციონირებადი საწარმო*. შესაძლებელი იყო მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტის უფრო სათანადოდ გამოყენება, მაგ., მგრძობელობის ანალიზის შესასრულებლად, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გამოვლინდეს პრობლემური ან ისეთი სფეროები, სადაც დამატებითი გამოკვლევაა საჭირო.

დამატებითი აუდიტის პროცედურების არარსებობა ნიშნავს, რომ აუდიტის მტკიცებულება სავარაუდოდ საკმარისად მყარი არ იქნება ამ მნიშვნელოვან სფეროში. აღნიშნულს ამტკიცებს ასევე ფაქტი, რომ მერიმ მხოლოდ რვა საათი დახარჯა აუდიტის სამუშაოს ამ კრიტიკულ სფეროზე და კომენტარი გააკეთა, რომ აღნიშნულის მიზეზი იყო მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტის მეშვეობით წარმოქმნილი მტკიცებულება. ეს კვლავ გვიჩვენებს ამ ინსტრუმენტზე მეტისმეტად დაყრდნობას, რაც შემფოთებას იწვევს. საჭიროა პერსონალის დამატებითი ტრენინგი ამგვარად წარმოქმნილი მტკიცებულების გამოყენებასა და ინტერპოლაციაში.

აუდიტის კომიტეტი

შემაშფოთებელია, რომ კომპანია „რივერსის“ აუდიტის კომიტეტს, როგორც ჩანს, შემფოთება არ გამოუხატავს განხილულ საკითხებზე, განსაკუთრებით არააუდიტორული მომსახურების გაწევასა და ბობ ნიუბოლდის აუდიტის გარიგების პარტნიორად ხანგრძლივი დროის მუშაობასთან დაკავშირებით. აუდიტის კომიტეტის ერთ-ერთი მოვალეობაა გარე აუდიტორთან დაკავშირებული ეთიკური საკითხების ზედამხედველობა და გარე

აუდიტორთან გარიგებაში ჩართულობა. „ვეფორდმა“ უნდა უზურუნველყოს ამ საკითხების აუდიტის კომიტეტთან განხილვა, რათა მომავალში კიდევ არ წამოიჭრას ეთიკური პრობლემები.

დასკვნა

ზემოთ მოცემული განხილვიდან ჩანს, რომ მრავალი პრობლემა კომპანია „რივერსის“ აუდიტთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ბობი ნიუბოლდმა უგულვებელყო მისი, როგორც აუდიტის გარიგების პარტნიორის, პასუხისმგებლობები და აუდიტორულმა ფირმამ ეს საკითხი მასთან უნდა განიხილოს და გაითვალისწინოს დამატებითი ტრენინგის ჩატარება ან დისციპლინარული ქმედების გამოყენება მის წინააღმდეგ. „ვეფორდმა“ უნდა განახორციელოს პროცედურები, რათა უზურუნველყოს ყველა სამუშაოს შესაფერისი რანგისა და გამოცდილების პერსონალის მიერ შესრულება და ტრენინგის ჩატარება თანამშრომლებისთვის, რათა მათ გააცნობიერონ, რომ დამკვეთი არ ირჩევს ან მიუთითებს აუდიტის შესასრულებელ სამუშაოს არცერთ სფეროში, ეს აუდიტის გუნდმა უნდა შეასრულოს აუდიტორული ფირმის მეთოდოლოგიისა და შერჩევის მეთოდების გამოყენებით. შეიძლება ტრენინგი საჭირო იქნეს ასევე აუდიტის მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტის, როგორც აუდიტის მტკიცებულების მოპოვების საფუძვლის, სათანადოდ გამოყენებაში.

მე-3 კითხვა

წყარო. სახელმძღვანელოს მე-8, მე-10 და მე-11 თავები.

ექსპერტის რჩევები. კითხვა ეხებოდა აუდიტის ერთ დამკვეთთან დაკავშირებულ ორ განცალკევებულ საკითხს.

(ა) ნაწილი შეიძლება რთული ჩანდეს, მაგრამ თუ სიმშვიდის შეინარჩუნებას შეძლებდით, ქულებს მიიღებდით. თქვენ არსებითობა უნდა გამოგეთვალათ თითოეული საკითხისთვის, ყველაზე შესაფერისი შერჩეული კრიტერიუმის გამოყენებით და გაგეკეთებინათ დასკვნა, საკითხი არსებითია თუ არა. შემდეგ მოცემულ სააღრიცხვო მიდგომებზე უნდა გემუშავათ და წარმოგედგინათ შესასრულებელი ქმედებების რეკომენდაცია.

მოსალოდნელია, რომ არ უგულვებელყოფდით აუდიტორის დასკვნაზე გავლენას, რადგან ქულები ხელმისაწვდომი იყო გავლენის სწორად დაწერისთვის და ეს ქულები ყველაზე ადვილი მისაღები იყო ამ გამოცდაზე.

(ბ) ნაწილი სხვა ინფორმაციას ეხებოდა, შედარებით დიდი რაოდენობით ქულები იყო გაოცოფილი მარტივი საკითხის ცოდნისთვის ((i) ნაწილში). ეს თქვენთვის გამოცდის კარგი ნაწილი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ყურადღება მიაქციეთ მის ბოლოში განთავსებას; დროის მართვა ძირითადი პროფესიული უნარია, ამიტომ, ის უნდა გამოიყენოთ თუ აპირებთ ამ (შედარებით) ადვილად მოსაპოვებელი ქულების მიღებას.

ადვილად მოსაპოვებელი ქულები. (ა) ნაწილში ადვილად მოსაპოვებელი იყო ქულები არსებითობის გამოთვლისათვის (და შეფასებისთვის) გამოყოფილი ქულები, როდესაც ეს შესაძლებელი იყო.

შეფასების სქემა

ქულები

- ა) საკითხები, დამატებითი ქმედებები და გავლენა აუდიტორის დასკვნაზე
- 1 ქულამდე თითოეული საკითხისთვის, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის
- საკითხები**
- ფინანსური დირექტორის მიდგომის შეფასება
 - არსებითობის შეფასება
 - გასაყიდად გამიზნულ/შეწყვეტად ოპერაციებთან დაკავშირებული გამჟღავნების წესები

- სცენართან მიმართებით გამოყენება, დასკვნის გამოსატანად, რომ აქტივი გასაყიდად არის გამიზნული
- კლასიფიკაციისა და გამჟღავნების არსებითი უზუსტობა
- გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასების ბუღალტრული აღრიცხვის წესი
- წესი, რომ ცვეთის დარიცხვა უნდა შეწყდეს, როდესაც აქტივი დააკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნული აქტივის კრიტერიუმებს
- სცენართან მიმართებით გამოყენება, სწორი ღირებულების მისაღებად
- შეფასებაში დაშვებული შეცდომის არსებითობა

დამატებითი ქმედებები

- ხელმძღვანელობისგან შესწორების შეტანის მოთხოვნა შეწყვეტილი ოპერაციის აღიარებისთვის და გასაყიდად გამიზნული აქტივების ცალკე გამჟღავნება
- ხელმძღვანელობისგან აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილების მოთხოვნა
- თუ ხელმძღვანელობა უარს განაცხადებს, საკითხის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან განხილვა
- თუ მაინც უარს იტყვის, ხელმძღვანელობისგან ოფიციალური წერილის მოპოვება, სადაც დადსტურებულია გაგრძელების განზრახვა

გაგლენა აუდიტორის დასკვნაზე

- პირობითი, არსებითი უზუსტობის საფუძველზე
- დასაბუთება, ყოვლისმომცველია თუ არა და სავარაუდოდ უარყოფითი დასკვნა მნიშვნელოვანი გამჟღავნების არარსებობის გამო
- მოსაზრების საფუძვლის აზრის პოზიცია და შინაარსი

მაქს. 10

ბ) (i) აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილ სხვა ინფორმაციაზე

ასს-ების მოთხოვნების შეფასება, მათ შორის:

- აუდიტორი სხვა ინფორმაციას უნდა გაეცნოს ფინანსურ ანგარიშგებასთან შეუსაბამობების გამოსავლენად ან საქმიანობის შესასწავლად
- შეუსაბამობის წყაროს გათვალისწინება
 - (i) სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებითი უზუსტობას;
 - (ii) ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებითი უზუსტობას; თუ
 - (iii) საჭიროა კომპანიისა და მისი გარემოს შესახებ აუდიტორის ცოდნის განახლება.

• აუდიტორი მოსაზრებას არ გამოთქვამს სხვა ინფორმაციაზე

თავმჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები

- ზრდის განხილვისას უგულებელყოფილია შეტყვევებული ოპერაცია
- გამოთვლები მიმდინარე ზრდის მხარდასაჭერად
- განცხადებაში დაფარულია ფაქტობრივი ზრდა, მაშასადამე სხვა ინფორმაცია მცდარია / არსებით უზუსტობას შეიცავს
- არასათანადო მინიშნება აუდიტორის დასკვნის შინაარსზე

- რეციკლირებული ქაღალდის შესახებ ფაქტის უზუსტობა
- განსჯა იმის თაობაზე, ეს სხვა ინფორმაციის არსებითი უზუსტობაა თუ არა

მაქს. 5

(ii) გავლენა აუდიტის დასრულებაზე

- დამატებითი ინფორმაციის მოძებნა შესასწავლად
- ხელმძღვანელობისგან გასწორების მოთხოვნა
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან განხილვა
- გავლენა ხელმძღვანელობის პატიოსნების შეფასებაზე და ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილებზე
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება აუდიტორის დასკვნაზე გავლენის შესახებ
- განიხილეთ გადადგომა

თავმჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

- ასახულია სხვა ინფორმაციის აზრად, იმ საკითხზე ყურადღების მისაპყრობად, რომელიც მოიცავს შემდეგს:
 - განცხადებას, რომ სხვა ინფორმაცია აუდიტირებული არ არის
 - აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით
 - შეუსწორებელი უზუსტობების აღწერა
- აუდიტორის დასკვნა მოდიფიცირებული არ არის.

მაქს. 5

პროფესიული ქულები

ანალიზი და შეფასება

- ინფორმაციის სათანადოდ გამოყენება მსჯელობის დასასაბუთებლად, სათანადოდ დასკვნების გამოსატანად და შესაფერისი პროცედურების განსაზღვრისთვის.
- ანალიზში გამოტოვებული ინფორმაციის გამოვლენა ან დამატებითი ანალიზი, რომელიც შეიძლება შესრულდეს.
- ინფორმაციის დაბალანსებული განხილვა არსებულ გარემოებებში სათანადო აუდიტის მოსაზრების განსაზღვრისთვის.

პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა

- ინფორმაციის, მტკიცებულებების, ასევე ძირითადი ფაქტების ან/და გადაწყვეტილებების გასამყარებლად გამოყენებული დაშვებებისა და მეთოდების ეფექტიანად განხილვა და კრიტიკულად შეფასება.
- პროფესიული განსჯის სათანადოდ გამოყენება დასკვნების გამოსატანად და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად გარიგების კონტექსტისა და ეტაპის შესაფერისი პოტენციური მოქმედებების შესახებ.

მაქს. 5

სულ

25

(ა) საკითხები, დამატებითი ქმედებები და გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

საკითხები

კომპანია კონკურენტთან თავისი სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფის გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზეა. ამჟამად ფინანსურ დირექტორს 20X5 წლის 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიშნება არ გაუკეთებია ამ გაყიდვის შესახებ, რისი სათანადო დასაბუთება არ არსებობს. არასწორია ფინანსური დირექტორის შეფასება, რომ ეს გაყიდვა გავლენას ახდენს მხოლოდ მომდევნო წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არსებითობა

ორივე, სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფის ამონაგები \$13 მილიონი და მოგება \$1.4 მილიონი, არსებითია. მნიშვნელოვანია ასევე ამ ქვედანაყოფის აქტივები, ისინი კომპანიის მთლიანი აქტივების 27.3%-ს შეადგენენ მათი გამოყენების ღირებულების მიხედვით, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული.

შეწყვეტილი ოპერაცია და აქტივებისთვის გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციის მინიჭება

ფასს 5-ში - *გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები* - შეწყვეტილი ოპერაცია განმარტებულია, როგორც საწარმოს კომპონენტი, რომელიც გაიყიდა ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- წარმოადგენს საწარმოს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს;
- არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გაყიდვის ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი.

ფასს 5-ით მოითხოვება გასაყიდად გამიზნული აქტივებისა და შეწყვეტილი ოპერაციების სპეციფიკური გამჟღავნება, მათ შორის ის, რომ აქტივები მოკლევადიან აქტივებად აღიარდება და შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები ცალკე აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 5-ის მიხედვით, საჭიროა აქტივების გამსვლელი ჯგუფის აქტივების გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირება, როდესაც ხელმძღვანელობა გეგმავს ამ აქტივების გაყიდვას და გაყიდვის ალბათობა მაღალია. პირობები, რომლებიც მიაწინებენ, რომ გაყიდვის ალბათობა მაღალია, გახლავთ შემდეგი:

- ხელმძღვანელობა გაყიდვის გეგმის ერთგულია
- აქტივი ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ გასაყიდად
- დაწყებულია მყიდველის მოძებნის პროგრამა
- გაყიდვის ალბათობა მაღალია, გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციის მინიჭებიდან 12 თვეში (ექვემდებარება შეზღუდულ გამონაკლისებს)
- აქტივის მარკეტინგი აქტიურად მიმდინარეობს მის გასაყიდად და გასაყიდი ფასი გონივრულია მის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებით
- გეგმის დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებები იმის დასტურს იძლევა, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფს, ხელმძღვანელობამ მისი გაყიდვა გადაწყვიტა და მყიდველი ნაპოვნია. მოლაპარაკებების ბოლო ეტაპი გვიჩვენებს, რომ გაყიდვის ალბათობა მაღალია.

შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ამჟამად გამოტოვებულია მნიშვნელოვანი გამჟღავნება, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებლები კომპანიის სამომავლო ამონაგებთან, მოგებასთან, აქტივებსა და ფულად ნაკადებთან მიმართებით. ქვედანაყოფის გაყიდვის შესახებ ინფორმაციის არგამჟღავნება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვებად, განსაკუთრებით ქვედანაყოფის აქტივების არსებითობის გათვალისწინებით მთელი

კომპანიის აქტივებთან მიმართებით.

ამგვარად, არსებითი უზუსტობა არსებობს, რადგან სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფი კლასიფიცირებული არ არის, როგორც გასაყიდად გამიზნული, მისი მოგება წარდგენილი არ არის, როგორც შეწყვეტილი ოპერაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული არ არის აუცილებელი ინფორმაცია.

გასაყიდად გამიზნული – შეფასება

ფასს 5-ში დამატებითი სახელმძღვანელო მითითებებია მოცემული გასაყიდად გამიზნული აქტივების შეფასებასთან დაკავშირებით. გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციის მინიჭებამდე საჭიროა გამსვლელი ჯგუფის გაუფასურებაზე შემოწმება ბასს 36-ის - *აქტივების გაუფასურება* - შესაბამისად. გაუფასურების მიმოხილვისთვის საჭიროა აქტივების ასახვა საბალანსო ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესით, როდესაც ანაზღაურებადი ღირებულება აღემატება გამოყენების ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას.

ამ შემთხვევაში ანაზღაურებადი ღირებულებაა \$42 მილიონი, რაც გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას წარმოადგენს. ხელმძღვანელობამ გამსვლელი ჯგუფი შეაფასა მისი გამოყენების ღირებულების, \$41 მილიონი, საფუძველზე. ეს დაბეგვრამდე მოგების 10.7%-ია და არსებითია ამ წლის მოგებისთვის.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების შემდეგ გრძელვადიანი აქტივები ან გამსვლელი ჯგუფი შეფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით, რაც ისევ \$42 მილიონი იქნება. ცვეთის დარიცხვა წყდება, როდესაც აქტივი გასაყიდად გამიზნულ აქტივად კლასიფიცირდება.

დამატებითი ქმედებები

- აუდიტორმა ხელმძღვანელობას უნდა მოსთხოვოს ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა, რათა აღიარდეს შეწყვეტილი ოპერაცია და ცალკე გამჟღავნდეს გასაყიდად გამიზნული აქტივები ფასს 5-ის შესაბამისად.
- ამასთან, დამკვეთს უნდა მოეთხოვოს აქტივების საბალანსო ღირებულების შეცვლა ანაზღაურებადი ღირებულებით, \$42 მილიონი, ფასს 5-ის მოთხოვნების შესაბამისად.
- თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანაზე, აუდიტორმა აღნიშნული უზუსტობების შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა აცნობოს. მათ მოთხოვნა უნდა გაიმეორონ და აცნობონ იმ მოდიფიცირების შესახებ, რომელიც აუდიტორის დასკვნაში აისახება, თუ შესწორებას არ შეიტანენ.
- თუ ხელმძღვანელობა ისევ უარს იტყვის ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანაზე, აუდიტორმა ხელმძღვანელობისგან ოფიციალური წერილი უნდა მოითხოვოს, სადაც დადასტურებულია, რომ სურთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილების შეტანის გარეშე გაგრძელება და ისინი აცნობიერებენ სავარაუდო რეაგირებას.

გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

თუ აღნიშნულ შესწორებებს არ შეიტანენ, მაშინ ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს. ამ საკითხის გამო აქტივები და მოგება \$1 მილიონით ნაკლებადაა შეფასებული, რაც განცალკევებით სავარაუდოდ ყოვლისმომცველი არ იქნება, რადგან ფინანსური ანგარიშგების შეზღუდულ კომპონენტებზე ახდენს გავლენას. ეს პირობით მოსაზრებას გამოიწვევს, სადაც აუდიტორი განაცხადებს, რომ „გარდა“ გასაყიდად გამიზნული აქტივების ღირებულებასთან დაკავშირებული არსებითი უზუსტობისა, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არის წარდგენილი.

თუმცა, გამოტოვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი გამჟღავნება, რომლებიც საჭირო იქნებოდა

მომხმარებლების მიერ კომპანიის არსებული ფინანსური მდგომარეობისა და მისი სამომავლო ამონაგებისა და მოგების წარმოქმნის უნარის შესასწავლად. ამიტომ, განსჯის საკითხი იქნება გამჟღავნებების არარსებობას, ზემოთ ნახსენებ არსებით უზუსტობასთან ერთად, ექნება თუ არა ყოვლისმომცველი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს საკითხი აუდიტორის განსჯაზეა დამოკიდებული. შეიძლება მან უარყოფითი მოსაზრება გამოთქვას, თუ აუდიტორი მიიჩნევს, რომ ამ საკითხების გავლენის შედეგად ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში მცდარია.

გაცემული მოსაზრების მიხედვით პირობითი მოსაზრების ან უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცი დაემატება მოსაზრების აბზაცის ქვეშ, აღნიშნული უზუსტობების აღწერისა და მათი გავლენის რაოდენობრივად გამოსახატად.

(ბ) (i) აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილ სხვა ინფორმაციაზე

ასს 720-ით - *აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან მიმართებით* - მოითხოვება, რომ აუდიტორი გაეცნოს სხვა ინფორმაციას, რომელიც განმარტებულია, როგორც საწარმოს წლიურ ანგარიშში ასახული ფინანსური ან არაფინანსური ინფორმაცია (გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტორის დასკვნისა).

აღნიშნული სხვა ინფორმაციის გაცნობის მიზანია განხილვა, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის, ან არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და აუდიტის მსვლელობისას მიღებულ აუდიტორის ცოდნას შორის. თუ აუდიტორი გამოავლენს, რომ არსებითი შეუსაბამობა არსებობს, ან მისთვის ცნობილი გახდება, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, აუდიტორმა საკითხი ხელმძღვანელობასთან უნდა განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს სხვა პროცედურები, რათა დასკვნა გამოიტანოს:

- (i) სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობას;
- (ii) ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას; თუ
- (iii) საჭიროა კომპანიისა და მისი გარემოს შესახებ აუდიტორის ცოდნის განახლება.

აუდიტორი სხვა ინფორმაციის აუდიტს არ ატარებს და არ გამოთქვამს მოსაზრებას სხვა ინფორმაციის შესახებ.

თავმჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები

ამ შემთხვევაში თავმჯდომარის განცხადებაში იგულისხმება ამ წელს ძლიერი ზრდა, კერძოდ, სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფში და მინიშნებულია, რომ ეს ზრდა გაგრძელდება. მიმდინარე წელს სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფში წარმოიქმნა ამონაგების 12% და დაბეგვრამდე მოგების 15%, ამიტომ, ეს არსებითი კომპონენტია კომპანიისთვის. რადგან მომდევნო ფინანსური პერიოდის დასაწყისში სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფი გაიყიდება, ის ვეღარ იქნება ამონაგების ან ზრდის საფუძვლის ნაწილი და შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ თავმჯდომარის განცხადებას შეცდომაში შეყავს მომხმარებელი. ამასთან, ამის გამო უფრო მეტად სავარაუდოა, რომ 20X6 წლის 31 მარტს დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ზრდის ნაცვლად შემცირებული ამონაგები აისახება მისი გაყიდვის შედეგად.

ამასთან, აღნიშნულ პერიოდში საქმიანობის დანარჩენ ნაწილში ამონაგები და მოგება სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფთან შედარებით დაბალი ტემპით იზრდებოდა. საქმიანობის, რომელიც არ წყდება, ამონაგების ზრდის ტემპია 2%, სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფის 44%-თან შედარებით. დარჩენილი საქმიანობის მოგების ზრდის ტემპია 5%, სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფის 100%-თან შედარებით.

ასს 720-ში მითითებულია, რომ უზუსტობა სხვა ინფორმაციაში მაშინ არსებობს, როდესაც ეს ინფორმაცია არასწორადაა წარმოდგენილი ან სხვა მხრივ არის შეცდომაში შემყვანი, მათ შორის, იმის გამო, რომ გამოტოვებულია ან ბუნდოვნად არის წარმოდგენილი ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია სხვა ინფორმაციაში განხილული საკითხის სათანადოდ გასაგებად. ამ შემთხვევაში თავმჯდომარის კომპანიის ზრდასთან დაკავშირებულ განცხადებასთან

დაკავშირებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ბუნდოვნად არის წარმოდგენილი ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დარჩენილი საქმიანობის ზრდისა და მომგებიანობის გასაგებად. როგორც ზემოთ აღნიშნა, ეს მიჩნეული იქნება, როგორც შეცდომაში შემყვანი.

თავმჯდომარემ ასევე გააკეთა არასათანადო მინიშნება აუდიტორის შეხედულებაზე, რომელშიც იგულისხმებოდა, რომ აუდიტორის დასკვნით დადასტურებულია ეს მტკიცება. ამასთან, როგორც ჩანს, განცხადებაში არასათანადოდაა წინასწარ გაცხადებული, რომ აუდიტორის დასკვნაში არამოდიფიცირებული მოსაზრება იქნება ასახული, რაც, ზემოთ მოცემული შეფასების საფუძველზე, შეიძლება ასე არ იყოს არსებითი უზუსტობისა და არგამჟღავნების გამო. ეს არასათანადო და საჭიროა აუდიტორის დასკვნაზე ყველა მინიშნების ამოღება.

ამასთან, პრობლემა წარმოიქმნება ასევე რეციკლირებული ქაღალდის გამოყენებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარის განცხადება ამ შემთხვევაში არ შეესაბამება აუდიტის მსვლელობისას მიღებულ ცოდნას. აუდიტორი ამ საკითხს არსებითად მიიჩნევს თუ არა, ეს განსჯის საკითხია და დამოკიდებულია იმაზე, სულ რამდენი გამოცემაა და რა პროპორციაშია გამოყენებული არა-რეციკლირებული ქაღალდი და ეს საკითხი შეიძლება არსებითი იყოს თავისი ხასიათის და არა სიდიდის გამო. შეიძლება ეს ასე მოხდეს, თუ მიიჩნევა, რომ ფაქტების მიზანმიმართული მცდარი წარდგენა ხდება, რამაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები.

(ii) გავლენა აუდიტის დასრულებაზე

აუდიტორმა ხელმძღვანელობასთან და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან უნდა განხილოს აღნიშნულ განცხადებაში ასახული ინფორმაცია, რომელიც, როგორც ჩანს არასწორი ან არათანმიმდევრულია. კერძოდ, აქცენტი უნდა გაკეთდეს შეცდომაში შემყვან ზრდის ანალიზზე იმის გათვალისწინებით, რომ მას შემდეგ, რაც გაიყიდება, სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფი ვერ შეიტანს წვლილს კომპანიის საქმიანობის შედეგებში.

რაც შეეხება რეციკლირებული ქაღალდის გამოყენებასთან დაკავშირებულ არასწორ გამჟღავნებას, აუდიტორმა დამატებითი ინფორმაცია უნდა მოიძიოს ფაილში ასახული შენიშვნის, რომ გამოცემებში რეციკლირებული ქაღალდი არ გამოიყენება, მხარდასაჭერად. საჭიროა აღნიშნული გამოცემების დასახელებების მოპოვება და წარმოების მენეჯერთან განხილვა, რათა დადასტურდეს აუდიტორის ცოდნა.

აღნიშნული გამოკვლევისა და განხილვების შემდეგ აუდიტორმა უნდა მოითხოვოს ნებისმიერი არასწორი, არასათანადო ან არათანმიმდევრული ინფორმაციის ამოღება თავმჯდომარის ანგარიშიდან, ან მისი გასწორება.

თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის ამ ცვლილებების შეტანაზე, მაშინ აუდიტორმა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა მიმართოს. აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ამ სიტუაციის გავლენა ხელმძღვანელობის პატიოსნების მისეულ შეფასებაზე და ასევე ის, აღნიშნული გავლენას ახდენს თუ არა ხელმძღვანელობისგან მიღებულ ოფიციალური წერილებზე დაყრდნობაზე. თუ პრობლემა არ გადაიჭრება, მაშინ აუდიტორმა სათანადო ქმედება უნდა განახორციელოს, მათ შორის:

- აუდიტორის დასკვნაზე გავლენის გათვალისწინება და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება აუდიტორის გეგმებზე, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება რეაგირება აუდიტორის დასკვნაში; ან
- გარიგებიდან გასვლა, როდესაც ეს შესაძლებელია არსებული კანონმდებლობით ან რეგულირებით.

გავლენა აუდიტორის დასკვნაზე

თუ სხვა ინფორმაცია შეუსწორებელი დარჩება, აუდიტორი გამოიყენებს აუდიტორის დასკვნის სხვა ინფორმაციის განყოფილებას მომხმარებელთა ყურადღების თავმჯდომარის განცხადებაში

უზუსტობებზე მისაპყრობად. აღნიშნული აბზაცი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- განცხადება, რომ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელი სხვა ინფორმაციაზე;
- განცხადება, რომ აუდიტორის დასკვნა არ ვრცელდება სხვა ინფორმაციაზე და შესაბამისად, აუდიტორი არ გამოთქვამს (ან არასოდეს გამოთქვამს) მოსაზრებას ან არ გასცემს რაიმე სახის მარწმუნებელ დასკვნას მის შესახებ;
- აუდიტორის პასუხისმგებლობების აღწერა სხვა ინფორმაციის გაცნობასთან, გათვალისწინებასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით, როგორც ეს ამ ასს-ით მოითხოვება; და
- განცხადება, სადაც აღწერილია სხვა ინფორმაციის შეუსწორებელი არსებითი უზუსტობა.
- რადგან შეუსაბამოა თავმჯდომარის განცხადებაშია და არა აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ამიტომ აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის.

